განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება პროკურორის ფართო დისკრეციას ბრალზე და სასჯელზე ბრალდებულთან შეთანხმების პროცესში, ბრალდებულის თანხმობის ნებაყოფლობითობას და პროცესის გამჭვირვალობას, სასამართლო კონტროლის განხორციელებას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, საპროცესო შეთანხმების დადებისთვის საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს, დაზარალებულის მონაწილეობას პროცესში და მისი ინსტერესების სათანადოდ გათვალისწინებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევა სამართლიანი სასამართლოს გარანტიების სრული დაცვით, სასამართლოსა და პროკურორის უფლებამოსილებების დაბალანსების, მოლაპარაკების პროცესის გამჭვირვალობის, კანონის განჭვრეტადობის, სასამართლო კონტროლისა და დაზარალებულის პროცესში ჩართულობის გაზრდის გზით. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო შეთანხმებით ბრალდებული უარს ამბობს თავის კონსტიტუციურ უფლებაზე თავისი უდანაშაულობა ამტკიცოს სასამართლოში შემცირებული სასჯელის სანაცვლოდ, აუცილებელია დამატებითი გარანტიების დამკვიდრება უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მრავალასპექტიან რეფორმაში. ეს ეხება სასჯელზე შეთანხმების, როგორც საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი ფორმის გაუქმებას; საპროცესო შეთანხმების შესაძლო პირობების დეკლარირებას; დაზარალებულის უფლებების გაფართოებას საპროცესო შეთანხმების დადების და დამტკიცების პროცესში; საპროცესო შეთანხმების ოქმის საკანონმდებლო რეგულირებას; საპროცესო შეთანხმების დადებისათვის ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობის

ერთმნიშვნელოვან მოთხოვნას, რომლებიც საკმარისია საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად; საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების შესახებ ბრალდებულის ჯეროვან ინფორმირებას; საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების ისეთი დამატებითი საფუძვლის შემოღებას, როგორიცაა - საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა; პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების დროს გასათვალისწინებელ გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალის შემოტანა და წამების, წამების მუქარის და დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისათვის ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების აკრძალვა.

კანონპროექტით იცვლება და მოქმედ რედაქციას ემატება საპროცესო შეთანხმების მომწესრიგებელი შემდეგი საკითხები:

- *სასჯელზე შეთანხმების, როგორც საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი ფორმის გაუქმება*

სასჯელზე შეთანხმების შესაძლებლობის არსებობა ბრალის არაღიარების პირობებში შესაძლოა წარმოადგენდეს კიდევ ერთ ფაქტორს იმისათვის, რომ ბრალდებული, რომელიც თავს უდანაშაულოდ ცნობს, დათანხმდეს საპროცესო შეთანხმებას სასჯელის შემსუბუქების მოტივით.

კანონპროექტი ითვალისწინებს სასჯელზე შეთანხმების, როგორც საპროცესო შეთანხმების ფორმის გაუქმებას. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების საფუძველი იქნება მხოლოდ შეთანხმება ბრალზე, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და სასჯელზე უთანხმდება პროკურორს.

- *საპროცესო შეთანხმების შესაძლო პირობების განსაზღვრა*

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ საპროცესო შეთანხმების პირობა შეიძლება იყოს გამოძიებასთან თანაშრომლობა ან/და ზიანის ანაზღაურება.

- *საჯარო ინტერესის დეტალური განმარტება*

რადგან პროკურორი ფაქტობრივად შეუზღუდავია იმის შეფასებისას, თუ რა შემთხვევაშია სახეზე საპროცესო შეთანხმების დადადების საჯარო ინტერესი, მიზანშეწონილია, რომ საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს, თუ რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დადებისას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - „სსსკ") 210-ე მუხლში რამდენიმე ფაქტორია ჩამოთვლილი, ესენია: ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლსაწინააღმდეგოობა და ბრალეულობის ხარისხი.

მეტი სიცხადისა და განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ზემოხსენებული რამდენიმე ფაქტორის ნაცვლად ამომწურავად განისაზღვროს ყველა ის გარემოება, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება დაიდოს საპროცესო შეთანხმება, კერძოდ, სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის ხასიათი, ბრალეულობის ხარისხი, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, ნასამართლობა, გამოძიებასთან თანამშრომლობა, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევა.

- *საპროცესო შეთანხმების ოქმი*

საპროცესო შეთანხმების დადების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ბრალდებულზე რაიმე ფორმის ზეწოლის გამოსარიცხად, კანონპროექტი ითვალისწინებს რამდენიმე დამცავ მექანიზმს. პირველ რიგში, სიახლეა საპროცესო შეთანხმების ოქმის საკანონმდებლო რეგულირება. საპროცესო შეთანხმების ოქმი უნდა ასახავდეს მოლაპარაკებების წარმოების პროცესს, სრულად და დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაცვის მხარისთვის და თან უნდა დაერთოს სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

საპროცესო შეთანხმების შესახებ შედგება ოქმი (საპროცესო შეთანხმების ოქმი), რომელშიც ასახული იქნება ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზებიდან სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის მომზადებამდე. საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი გადაეცემა ბრალდებულს და მის ადვოკატს. ბრალდებულს და მის ადვოკატს ექნებათ უფლება საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები, რომელიც თან დაერთვება ოქმს.

- *მტკიცებულებები საქმის არსებით განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას*

მოქმედი რედაქციით, პროკურორს მოეთხოვება, რომ სასამართლოს წარუდგინოს დასაბუთებული ვარაუდისთვის საკმარისი მტკიცებულებები, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ იმგვარ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ეყრდნობოდეს, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

ამის გათვალისწინებით, საპროცესო შეთანხმების დადებისას მტკიცებულებითი

სტანდარტი ცალსახად განისაზღვრება, როგორც საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს თავის უფლებაზე, რომ მისი საქმე სასამართლომ განიხილოს არსებითად.

- *ბრალდებულის ინფორმირებული თანხმობა*

ბრალდებულის ინფორმირებული თანხმობის გარანტად კანონპროექტი ითვალისწინებს პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ სასამართლომ შეამოწმოს ინფორმირებულია თუ არა ბრალდებული საპროცესო შეთანხმების ყველა სამართლებრივი შედეგის, მათ შორის ნასამართლობის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა ამჟამად მოქმედ რედაქციაში გაბნეულია რამდენიმე მუხლში, კანონპროექტი კი ამ მოთხოვნას ხაზს უსვამს და მისი საბოლოო უზრუნველყოფის უფლებამოსილებას სასამართლოს ანიჭებს. ეს ცვლილება ემსახურება განვითარებულ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ სტანდარტს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში ბრალდებულის თანხმობა უნდა იყოს ინფორმირებული, გათვითცნობიერებული და ნებაყოფლობითი.

- *საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების დამატებითი საფუძველი*

სსსკ-ის 215-ე მუხლში მოცემულია საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლები. საფუძვლების ჩამონათვალს ემატება ისეთი მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორიცაა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა. შესაბამისად, მსჯავრდებულს უფლება ექნება სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ საპროცესო შეთანხმება დაიდო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების არსებობის გარეშე.

კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს განსხვავებულ ფორმულირებას 215-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მოქმედი რედაქცია ადგენს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენი არ საჩივრდება ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა. საპირისპიროდ, შემოთავაზებულია პოზიტიური ფორმულირება: განაჩენი საჩივრდება 215-ე მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლებით.

- *დაზარალებულის უფლებები*

მართალია, 2010 წელს მიღებული სსსკ-ის თანახმად, დაზარალებული არ წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების მხარეს, მას მაინც უნდა ჰქონდეს უფლებები, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საერთაშორისო სამართლის კუთხით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის გადაწყვეტილება საქმეში დიმიტროვა და სხვები ბულგარეთის წინააღდეგ,[1] რომელშიც სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაზარალებულს არ ჰქონდა შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, მათ შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომაში, მიეღო მონაწილეობა. სასამართლომ აღიშნა, რომ განმცხადებელს არ მიეცა საშუალება გამოეხატა თავისი მოსაზრება სასამართლოში, უფრო მეტიც, მას არ მიუღია მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომაში - სასამართლომ არ მოიწვია დაზარალებული, რისი შესაძლებლობაც კანონმდებლობით ჰქონდა. აქვე, გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ბულგარეთის კანონმდებლობით 2003 წლამდე სავალდებულო იყო დაზარალებულის თანხმობა საპროცესო შეთანხმებაზე, თუმცა, ეს დებულება შეიცვალა და დადგინდა, რომ თუ საპროცესო შეთანხმება იდება საქმის სასამართლოში წარმართვამდე, დაზარალებულის თანხმობა და მონაწილეობა სავალდებულო აღარ არის, მაგრამ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით მოიწვიოს დაზარალებული და მოუსმინოს მას. კანონპროექტი ითვალისწინებს დაზარალებული უფლებას მოახსენოს სასამართლოს იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა ან წერლობით წარუდგინოს ინფორმაცია.

სსსკ-ის 217-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, პროკურორი ვალდებულია, გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ კონსულტაციის შედეგად პროკურორმა დაზარალებულის ინტერესები არ გაითვალისწინა, ან დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით შეუსაბამო სასჯელი მოითხოვა საპროცესო შეთანხმებით, დაზარალებულს სასამართლოში ამის რაიმე ფორმით გახმოვანების საშუალება არ გააჩნია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაზარალებულის როლის გაზრდა საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ მას არ უნდა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმებაზე ვეტოს დადების უფლება.

---

[1] დიმიტროვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, საქმე #44862/04, 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 88.

დაზარალებულისთვის უმნიშვნელოვანესია სამართლიანობის განცდა, იმაში დარწმუნება, რომ სასამართლომ განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინა მისი მდგომარეობა.საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, გამოვიდეს სასამართლოში, რათა მოისმინონ მისი აზრი,[2] შესაბამისად, დაზარალებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისთვის, წინამდებარე კანონპროექტი ითვალისწინებს სსსკ-ის 21-ე თავში („საპროცესო შეთანხმება") ცვლილების შეტანას, რომელიც (მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს არ ექნება საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება) დაზარალებულს მისცემს საშუალებას, მისი სურვილის შეთხვევაში დაესწროს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობის განხილვას და გამოთქვას თავისი მოსაზრება სასამართლოში ბრალდებულთან მიღწეული საპროცესო შეთანხმების კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ. ამასთან, დაზარალებულს, თუ მას არ შეუძლია ან არ სურს პროცესზე დასწრება, შეეძლება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე საკუთარი მოსაზრებები წერილობითაც წარუდგინოს მოსამართლეს.

- *ტექნიკური ხასიათის ცვლილებები*

კანონპროექტით კოდექსში ხორციელდება სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. მოქმედ რედაქციაში ქაოტურად არის გაბნეული მუხლები, რომლებიც მსგავს სიტუაციებს აწესრიგებენ. რიგ შემთხვევებში კი სახეზეა დუბლირებაც - რამდენიმე ნორმა იმეორებს იდენტური შინაარსის შემცველ წინადადებას. შესაბამისად, კანონის სიმარტივის უზრუნველსაყოფად შეტანილი ცვლილებები აწესრიგებს მსგავს საკითხებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

---

[2] ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა, მე-10 მუხლი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ფინანსურ შედეგებს არ იწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

იუსტიციის სამინისტროს მიერ კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები იმართებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფთან, რომელიც შექმნილია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებათა და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლები, მეცნიერები და ექსპერტები. კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა

საქართველოში“ ექსპერტმა, რომელიც ამასთანავე არის სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის წევრი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტის მიმართ რამდენიმე საექსპერტო შეფასება იქნა მიღებული, რაც გათვალისწინებულ იქნა კანონპროექტის დამუშავების დროს, თუმცა წარმოდგენლ ვარიანტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.